



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

გამოცდების ჩატარების წესი

თბილისი,

2017 წელი



მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1.1. ეს წესი არეგულირებს ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) გამოცდების ჩატარების წესს და მისი მიზანია საგამოცდო პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

1.2. გამოცდის მიზანია სტუდენტის არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება, არამედ სტუდენტის მიერ ამ ცოდნის გამოყენების უნარების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, აღწერისა და შეფასების უნარების შემოწმება, რაც ერთი მხრივ, ემსახურება სწავლის შედეგებისა და მიღწევების გაზრდას, ხოლო მეორე მხრივ, ემსახურება საგამოცდო პროცესის ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის ამაღლებას.

1.3. უნივერსიტეტის მიზანია, თითოეული სტუდენტი მთელი სემესტრის მანძილზე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და სტუდენტის ცოდნის დონე განიცდიდეს პროგრესს თითოეული კვირის განმავლობაში. მიღწეული პროგრესის გაზომვის ფორმებს წარმოადგენს ქვიზი, ტესტირება, ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაცია, ესე, ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტი და შესაბამისი საგნის სილაბუსით გათვალისწინებული სხვა შუალედური შეფასების ფორმები.

1.4. უნივერსიტეტი გამოცდებს ატარებს ამ წესის დებულებათა შესაბამისად და მისი თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია განუხრელად დაიცვას ამ წესის მოთხოვნები.

1.5. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია სტუდენტის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას გამოიყენოს რეაგირების შესაბამისი ზომები.

მუხლი 2. გამოცდების სახეები და მათი ჩატარების ფორმა

2.1. უნივერსიტეტის სტუდენტის ცოდნა სემესტრის განმავლობაში ფასდება შუალედური და დასკვნითი გამოცდების სახით. შეფასების ფორმებია: ტესტი; ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაცია; ესე; ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტი და სხვა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, შესაძლოა დაინიშნოს დამატებითი გამოცდა. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს,



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ნებისმიერ სასწავლო კურსში/საგანში ჩაატაროს ნებისმიერი ფორმის შუალედური შეფასების ფორმა. ფინალური გამოცდის შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება გადაბარების ვადაში. გამოცდის თარიღი დგინდება საგამოცდო ცენტრის მიერ.

2.2. სტუდენტი ფასდება წერითი ან/და ზეპირი ფორმით.

2.3. წერითი შეფასება ტარდება ელექტრონული ფორმით, უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში - თითოეული სტუდენტისათვის პერსონალურად გამოყოფილ კომპიუტერთან მუშაობის გზით ან წერით ფურცელზე. გამოცდების მსვლელობის ჩაწერა ხორციელდება კამერის მეშვეობით.

2.4. წერითი შეფასება ტარდება:

2.4.1. „დახურული წიგნის მეთოდით“ - რომლის დროსაც სტუდენტს ეკრძალება რაიმე სახის დამხმარე მასალის ან ლიტერატურის გამოყენება;

2.4.2. „ღია წიგნის მეთოდით“ - რომლის დროსაც სტუდენტს კონკრეტულად მიეთითება შესაბამისი საგნის ლექტორის მიერ, თუ რა სახის დამხმარე მასალის ან ლიტერატურის გამოყენების უფლება აქვს.

მუხლი 3. საგამოცდო განრიგის შედგენა და გამოცდების დაგეგმვა

3.1. საგამოცდო განრიგი

3.1.1. საგამოცდო ცენტრი ადგენს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შუალედური, ფინალური და გადაბარებების გამოცდების განრიგს. ცხრილები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე (www.agruni.edu.ge).

3.1.2. შუალედურ შეფასებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, საგამოცდო ცენტრს აწვდის სკოლის დეკანი/ადმინისტრაცია, სემესტრის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში

3.1.3. ფინალური გამოცდების დაწყებამდე 5 კვირით ადრე საგამოცდო ცენტრი ადგენს ფინალური გამოცდების ნუსხას და აცნობს სკოლის დეკანებს და კოორდინატორებს.

3.1.4. საგამოცდო ცენტრის მიერ დასკვნითი და გადაბარების გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ 1 თვით ადრე გამოცდების განრიგი ეგზავნება სკოლის დეკანებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, სარეგისტრაციო ოფისს, აგრეთვე,



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის სასწავლო სამსახურს - ზემოაღნიშნული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით.

3.1.5. გამოცდა ტარდება საგამოცდო ცხრილით დანიშნულ დროს. გამოცდის განმეორებით დანიშვნა/ჩაბარება არ ხდება, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, რომელსაც ადგენს სკოლის დეკანი განმეორებითი გამოცდის თარიღის საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით.

3.1.6. სტუდენტის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის მიზნით სტუდენტი ვალდებულია დეკანს წარუდგინოს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ გაცემული ცნობა. ცნობაში მითითებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ფაქტობრივი მისამართი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დეკანი ცნობას არ მიიჩნევს გამოუცხადებლობის საპატიოდ შეფასების საფუძველად. სტუდენტის მიერ წარდგენილი ცნობის ნამდვილობა ექვემდებარება დეკანის მიერ გადამოწმებას.

3.1.7. გამოცდის გადატანა ტექნიკური ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, შესაძლოა მოხდეს გამოცდის ჩატარებამდე არანაკლებ ორი სამუშაო დღის ვადაში.

3.1.8. როგორც წესი, შუალედური შეფასება ტარდება შესაბამისი ლექციისათვის განკუთვნილ დროს. თუ ქვიზი ინიშნება არასალექციო/არასასემინარო პერიოდში, საგამოცდო დროს ადგენს შესაბამისი სკოლის კოორდინატორი, საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით.

3.1.9. როგორც წესი, შუალედური შეფასება არ უნდა აღემატებოდეს 30-40 წუთს. ხოლო დასკვნითი გამოცდა არ უნდა აღემატებოდეს 1.5 საათს (90 წუთი). გამონაკლისი შემთხვევები დგინდება სკოლის დეკანის/ადმინისტრაციის და საგამოცდო ცენტრის შეთანხმების საფუძველზე.

3.2. საგამოცდო საკითხები 3.2.1 საგნის ლექტორი, საგამოცდო საკითხებს და ღია წიგნის შემთხვევაში გამოსაყენებელ ლიტერატურას, საგამოცდო ცენტრს აწვდის შუალედური და გადაბარებების გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე, ხოლო ფინალური გამოცდის შემთხვევაში 1 კვირით ადრე, ამ წესის #1 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად.



3.2.2. ლექტორი ვალდებულია თითოეული ჯგუფისათვის შეადგინოს საგამოცდო საკითხების რამდენიმე განსხვავებული ვერსია, რათა საგამოცდო ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს შეფასების პროცესის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარება. დამატებითი გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია საგამოცდო ცენტრს წარუდგინოს საკითხების განსხვავებული ვერსია.

3.2.3. საგნის ლექტორი საგამოცდო ფაილის დასახელებას იწყებს ლათინური A-ით (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აღსანიშნავად), შემდეგ აწერს საგნის დასახელებას, , საკითხის ვარიანტს, ლექტორის სახელსა და გვარს.

3.3. სტუდენტთა სიები:

3.3.1. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისი ვალდებულია საგამოცდო ცენტრს, სემესტრის დასაწყისში, მიაწოდოს სტუდენტთა ზუსტი ელექტრონული სიები მითითებული მეილებით. სიის ცვლილების შემთხვევაში, განახლებული სია დაუყოვლბლივ უნდა მიეწოდოს საგამოცდო ცენტრს განმეორებითი გამოცდის თარიღის საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით.

3.3.2. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისი ვალდებულია, დასკვნით გამოცდამდე ერთი კვირით ადრე, ხოლო გადაბარებების გამოცდების შემთხვევაში დანიშნულ გამოცდამდე 2 სამუშაო დღით ადრე საგამოცდო ცენტრს მიაწოდოს გამოცდაზე გამომსვლელ სტუდენტთა ზუსტი სიები.

მუხლი 4. რეგისტრაცია

4.1. საგამოცდო რეგისტრაცია სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული სახით გამოცდამდე არაუგვიანეს 3 საათით ადრე, ასევე ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრთან განთავსებულ მონიტორზე.

4.2. სტუდენტი ვალდებულია: გაეცნოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე საგამოცდო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას (საგამოცდო ადგილი და ვარიანტი).



4.3. სტუდენტი ასევე ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ შესაძლოა ტექნიკური თუ სხვა მიზეზით რეგისტრაციის ინფორმაცია არ გაეგზავნოს მეილზე, რაც არ ნიშნავს, რომ გამოცდა არ ტარდება.

4.4. სტუდენტი ვალდებულია გამოცხადდეს საგამოცდო ცენტრში გამოცდამდე 10 წუთით (დასკვნითი გამოცდის დროს - 15 წუთით ადრე).

4.5. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი ფოტოსურათიანი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, პასპორტი), რომელიც იძლევა სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას.

4.6. სტუდენტი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს დროულად. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გამოცდაზე დააგვიანებს მაქსიმუმ 15 წუთით, იგი შესაძლოა, გამოცდის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაშვებულ იქნეს გამოცდაზე, თუმცა მას არ მიეცემა დამატებითი საგამოცდო დრო.

4.7. თუ ბაკალავრიატის სტუდენტი გამოცდაზე დააგვიანებს 15 წუთზე მეტი დროით, იგი გამოცდაზე არ დაიშვება და სტუდენტი შეფასდება 0 ქულით. ეს უკანასკნელი მაგისტრატურის შემთხვევაში განისაზღვრება მაგისტრატურის დებულებით.

მუხლი 5. საგამოცდო ცენტრში სტუდენტის ქცევის წესი

5.1. სტუდენტი ვალდებულია:

5.1.1. გაეცნოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე საგამოცდო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას (გამოცდის საგანი, დრო, ადგილი და ვარიანტი).

5.1.2. მობილური ტელეფონი ან/და სხვა ელ.მოწყობილობა შეინახოს საგამოცდო ცენტრში ამ მოწყობილობისთვის განკუთვნილ ადილას.

5.1.3. მთელი გამოცდის განმავლობაში, სტუდენტისათვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილას განათავსოს პირადობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი



5.1.4. სტუდენტი ვალდებულია იმუშავოს რეგისტრაციით მინიჭებულ ვარიანტზე;

5.1.5. გამოცდის სახის გათვალისწინებით, თან იქონიოს ლექტორის მიერ დაშვებული/ მითითებული ყველა საჭირო ინვენტარი და მასალა (მაგალითად: ლიტერატურა; დამხმარე მასალები; კალამი; კალკულატორი; ლექსიკონი და ა.შ.);

5.1.6. გამოცდის დასრულების შემდეგ მხოლოდ კომპიუტერის დესკტოპზე შეინახოს საგამოცდო ნამუშევარი, ხოლო ფაილს სახელწოდებად მიანიჭოს საკუთარი სახელი და გვარი.

5.1.7 5.1 მუხლის პუნქტების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი ფასდება 0-ით.

5.2 გამოცდაზე აკრძალულია:

5.2.1. არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;

5.2.2. ქუდით/თავსაბურთით, ყურსასმენებით, ქურთუკით და ნოუთბუკით გამოცხადება, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს ჩამოერთმევა ზემოაღნიშნული ნივთები;

5.2.3. სტუდენტმა საგამოცდო ცენტრში მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან არ უნდა იქონიოს მობილური ტელეფონი ან/და სხვა ელ.მოწყობილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს ერთმევა გამოცდის გაგრძელების ან/და დასრულების უფლება და იგი ფასდება 0 ქულით.

5.2.4. გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი დამხმარე ჩანაწერების გამოყენება; ასევე, სტუდენტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევა; წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით;

5.2.5. სხვა სტუდენტთან გადალაპარაკება, მისთვის კარნახი, გადაწერის ან რაიმე დაუშვებელი დამხმარე მცდელობა. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით;



5.2.6. დახურული წიგნის მეთოდით შეფასების ჩატარებისას, სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო ცენტრში, შეინახოს ელ. მოწყობილობა/დამატებითი ჩანაწერები ცენტრში არსებულ კარადებში. სტუდენტს ეკრძალება საგამოცდო ცენტრში მისთვის განსაზღვრული პერსონალური საგამოცდო ადგილის მიტოვება. ამ მოთხოვნის საპატიო მიზეზით დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს სარეგისტრაციო ოფისს და შესაბამისი სკოლის დეკანს/ადმინისტრაციას და მათთან შეთანხმების საფუძველზე სტუდენტს დაენიშნოს დამატებითი გამოცდა.

5.2.7. ღია წიგნის მეთოდით გამოცდის მსვლელობისას საგამოცდო ცენტრის დატოვება, ხოლო დახურული წიგნის მეთოდით გამოცდის მსვლელობისას - საგამოცდო ცენტრში მისთვის გამოყოფილი ინდივიდუალური სამუშაო ადგილის მიტოვება.(ორივე შემთხვევაში სტუდენტი სამუშაო ადგილის დატოვებას ათანხმებს საგამოცდო ცენტრის თანამშრომელთან) წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით;

5.2.8. დამკვირვებლისათვის შეურაცხყოფის მიყენება, დამკვირვებლის მითითებისადმი დაუმორჩილებლობა, ხმაური და გამოცდის მსვლელობის სხვაგვარი შეფერხება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით;

5.2.9. გამოცდის მსვლელობის დროს დოკუმენტის შრიფტის ზომის ან მასშტაბის გაზრდა 100%-ზე მეტი ზომით, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით; შრიფტის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. თუ სტუდენტს აქვს მხედველობის პრობლემა უნდა აცნობოს საგამოცდო ცენტრს წინასწარ, რისთვისაც მას გამოეყოფა სპეციალური ადგილი.

5.2.10. ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც შეიძლება ჩაითვალოს დაუმსახურებელი და არაობიექტური შეფასების მიღების საფუძველად, სხვისთვის ხელის შეშლად, შეცდომაში შეყვანად. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და იგი შეფასდება 0 ქულით;



5.2.11. ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც იკრძალება სტუდენტის ეთიკის კოდექსით და რომლის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას, მისი ნამუშევარი ფასდება 0 ქულით, ან/და სტუდენტის მიმართ გამოიყენება სტუდენტის ეთიკის კოდექსით დადგენილი სანქცია.

5.2.12. დაუშვებელია სათადარიგო ფურცლის გატანა საგამოცდო ცენტრიდან.

მუხლი 6. საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლის უფლება-მოვალეობანი

6.1. დამკვირვებელი ვალდებულია:

6.1.1. შეადგინოს საგამოცდო ცხრილი;

6.1.2. მოამზადოს სტუდენტთა სიები რეგისტრაციისთვის;

6.1.3. უზრუნველყოს საგამოცდო საკითხების შეგროვება ამ წესით დადგენილ ვადებში;

6.1.4. გამოცდის დაწყებამდე გააასუფთავოს ყველა კომპიუტერი ზედმეტი ფაილებისგან;

6.1.5. აუცილებლობის შემთხვევაში და გამოცდის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებს დაურიგოს სათადარიგო ფურცლები, დააწეროს მაგიდის ნომერი და ხელი მოაწეროს მათ;

6.1.6. უზრუნველყოს სტუდენტთა დისციპლინა ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო დარღვევის შემთხვევაში, შეადგინოს ოქმი ამ წესის #2 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად და მიაწოდოს ლექტორს, სკოლის დეკანს და კოორდინატორს.

6.1.7. გამოცდის დასრულებამდე არ დატოვოს საგამოცდო ცენტრი უფროს დამკვირვებელს/საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმების გარეშე;

6.1.8. ამ წესის რომელიმე დებულების ან სტუდენტის ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს უფროს დამკვირვებელს/საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელს და მიიღოს ამ წესით დადგენილი რეაგირების ზომები.



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

6.1.9. გამოცდის დასრულებისთანავე საგნის ლექტორს მიაწოდოს სტუდენტთა ნაშრომები.

6.1.10. გამოცდის დასრულებისთანავე საგნის ლექტორს გადაუგზავნოს სტუდენტთა დასწრების ელექტრონული სია.

6.1. 11. აწარმოოს ჩატარებული გამოცდების სტატისტიკა.

მუხლი 7. გამოცდების შედეგები

7.1. გამოცდის შედეგებს სტუდენტი ეცნობა შეფასების ელექტრონულ სისტემაში (EMIS). III-V კურსის სტუდენტებს საგამოცდო ცენტრი ატყობინებს ელექტრონულ ფოსტით.

7.2. სტუდენტი უფლებამოსილია საგამოცდო ნაშრომის გადამოწმება მოითხოვოს საგნის ლექტორთან.

7.3. სტუდენტი უფლებამოსილია გააპროტესტოს შეფასება.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

8.1. გამოცდების პროცესის დახვეწისა და უკეთ ორგანიზების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს გამოცდების ჩატარების წესის ცვლილებებს. წესში შეტანილი ცვლილებები ექვემდებარება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას.

8.2. გამოცდების ჩატარების წესის რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს დანარჩენი ნორმების იურიდიულ ძალაზე.



ვარიანტი #

*მონიშნეთ გამოცდის ფორმატი (მიუთითეთ ✓)

დახურული წიგნი	
ღია წიგნი	
*ღია წიგნის შემთხვევაში მონიშნეთ გამოცდაზე ნებადართული ელემენტები (მიუთითეთ ✓)	
ელექტრონული წიგნები	
წიგნები	
კონსპექტები	
ლექსიკონი	
კალკულატორი	
სკოლა/ საგანმანათლებლო პროგრამა	
საგანი	
ლექტორი	
კურსი	
ჯგუფი	
გამოცდის ფორმა (ქვიზი, შუალედური, ფინალური)	
გამოცდის ხანგრძლივობა	
მაქსიმალური ქულა	
* გამოცდის ჩატარების წესი იხილეთ „დესკტოპზე“ საქალაქო Exam materials	
სტუდენტის სახელი და გვარი:	

საგამოცდო საკითხები:



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გამოცდების ჩატარების წესის დარღვევის ოქმი

ეს ოქმი ადასტურებს, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის _____

სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის _____ კურსის სტუდენტმა _____

_____ დარღვია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
გამოცდების

ჩატარების წესის მე-5 მუხლის

მოთხოვნები, კერძოდ, მან: _____

დარღვევის დრო: _____ საათი და _____ წუთი



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

გამოცდის თარიღი: _____

გამოცდის საგანი: _____

საგნის ლექტორი _____

დამკვირვებელი: _____



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

დანართი #3

წერიტი ნაშრომების მიღება-ჩაბარების აქტი

ერთის მხრივ, საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი (შემდგომში „გადამცემი“)

----- ვადასტურებ, რომ გადავეცი, ხოლო მეორე მხრივ -----

----- საგნის ლექტორი ----- (შემდგომში მიმღები“)

ვადასტურებ, რომ მივიღე რეგისტრირებული ----- ნაშრომიდან ----- ცალი.

გადამცემი

მიმღები

თარიღი